GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 05 Mart/მარტი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 696.2	5.0 %	17.6 %	3.6 %

David Zalkaliani'nin Türkiye Ziyareti
დავით ზალკალიანის ვიზიტი თურქეთში

3 Mart 2021'de Gürcistan Dışişleri Bakanı ve Başbakan Yardımcısı Sn. David Zalkaliani, Türkiye Cumhuriyeti'ne resmi ziyaret gerçekleştirdi. Ziyaret çerçevesinde Sn. Zalkaliani Türk meslektaşı Mevlut Çavuşoğlu ile görüştü. Toplantı sırasında tartışılan güncel konular arasında bölgedeki mevcut durum ve zorluklar, tehditler ve beklentiler.

Gürcistan Başbakan Yardımcısı, Türkiye'nin Gürcistan'ın egemenliği ve toprak bütünlüğü ve ayrıca Avrupa-Atlantik entegrasyonu konusundaki verdiği destekten dolayı minnettarlığı ifade etti. Görüşme sırasında ticari, ekonomi, ulaştırma ve enerji alanlarında işbirliği konuları ayrıntılı olarak ele alınmıştır. Türkiye'nin Gürcistan'ın en büyük ticaret ortağı olduğu memnuiyetle altını çizerek, Gürcistan'ın Türkiye pazarına yaptığı ihracatın artırılması için çaba gösterilmesi gerektiğini kaydedildi.

Toplantı bittiğinde taraflar iki ülke arasında mevcut stratejik ortaklığının güçlendirmesi için hazır oldukları belirttiler.

2021 წლის 3 მარტს, ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკას ეწვია. ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრა გამართა თურქ კოლეგასთან მევლუთ ჩავუშოღლუსთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა აქტუალური საკითხები, რეგიონში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები, საფრთხეები და პერსპექტივები.
საქართველოს ვიცე-პრემიერმა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ თურქეთის ურყევი პოზიციისთვის და ასევე თურქეთის მტკიცე მხარდაჭერის გამო საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიმართულებით მადლიერება გამოხატა.
შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული თანამშრომლობის საკითხები სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და ძალისხმევა უნდა წარიმართოს თურქულ ბაზარზე საქართველოს ექსპორტის გაზრდის პერსპექტივებზე.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა გამოხატეს მზაობა ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო გაძლიერებაზე.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Namakhvani Hidroelektrik Santrali

ნამახვანი ჰიდრო ელექტრო სადგური

Gürcistan Başbakanı Irakli Gharibashvili, hükümet oturumunda Namakhvani HES konusuna ve halkın bu konudaki endişelerine yanıt verdi. "Sorular muhakkak vardır, bu çok doğal ve tüm sorular profesyonel, nitelikli bir şekilde yanıtlanmalıdır" – belirtti Garibaşvili.

Başbakan, Ekonomi ve Çevre Koruma Bakanlarına bölgeye gidip halkla doğrudan iletişim kurma ve parlamentonun ilgili komite toplantılarına katılma talimatını verdi. Bugün, 5 Mart tarihinde, Gürcistan Ekonomi Bakanı Natia Turnava ve Çevre Koruma Bakanı Levan Davitashvili olay yerinde olup halkla görüşmeleri başlıyorlar. "İlgili tüm tarafları, enerji bağımsızlığımız adına, bizi ithalata daha az bağımlı hale getirecek Namakhvani benzer hidroelektrik santrallerinin inşa edilmesi gerektiğine ikna etmek için elimizden geleni yapacağız" – belirtti Turnava.

Başbakana göre, Gürcistan'da elektrik ithalatı her yıl artıyor ve hükümetin buna karşı yerel olarak üretilen elektrikle yanıt vermesi gerekiyor. Belirttiği gibi her yıl ülkede en az 100 MW kapasiteli bir HES inşa edilmelidir, ancak hiçbir sorunun cevapsız kalmaması için doğrudan halkla iletişim kurmak gerekir.

საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის სხდომაზე ნამახვან ჰესის საკითხს და აღნიშნულთან დაკავშირებით მოსახლეობის მიერ გამოთქმულ წუხილს გამოეხმაურა. „კითხვები ბუნებრივია, არსებობს და ყველა კითხვას უნდა გაეცეს შესაბამისი, დასაბუთებული, პროფესიონალური და კვალიფიციური პასუხი“ განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ეკონომიკის და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრებს დაავალა, უშუალოდ ჩავიდნენ ადგილზე და კომუნიკაციაში იყვნენ მოსახლეობასთან, ასევე, მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის შესაბამის საკომიტეტო მოსმენებში. დღეს 5 მარტს, ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა და გარემოს დაცვის მინისტრი ლევან დავითაშვილი უკვე ადგილზე იმყოფებიან და იწყებენ მოსახლეობასთან შეხვედრას. „ვეცდებით ყველანაირად, ყველა დაინტერესებული პირი დავარწმუნოთ, რომ ჩვენი ენერგოდამოუკიდებლობისთვის ნამახვანი და მსგავსი ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც იმპორტზე ნაკლებდამოკიდებულს გაგვხდიან, აუცილებლად უნდა აშენდეს“ - განაცხადა თურნავამ.

პრემიერის განმარტებით საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება ელექტროენერგიის იმპორტი, რასაც მთავრობამ ადგილობრივი წარმოებული ელექტრო ენერგიის საშუალებით უნდა უპასუხოს. მისი აღნიშვნით ყოველ წელს, მინიმუმ 100 მეგავატის სიმძლავრის ჰესი უნდა შენდებოდეს ქვეყანაში. თუმცაღა აუცილებელია უშუალო კომუნიკაცია საზოგადოებასთან, რათა არც ერთი კითხვა საზოგადოებაში არ დარჩეს პასუხგაუცემელი.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Anaklia Derin Deniz Limanı
ანაკლიის ღრმა წყლოვანი პორტი

Gürcistan Başbakanı hükümet toplantısında Anaklia derin deniz liman konusunu dile getirdi. Başbakanın belirttiği gibi, imzalanmış sözleşmede belirtilen sorumlulukların ertelemesine rağmen "Anaklia Kalkınma Konsorsiyum" yükümlülüklerini yerine getiremedi ve bu nedenle hükümet sözleşmeyi feshetmek zorunda kaldı. Başbakanın belirttiği gibi hükümet yeni yatırımcı bulmaya karar verdi ve seçim süreci en yakın gelecekte başlayacaktır.

Başbakanın belirttiği gibi Ekonomi Bakanlığı'nın ilgili kurum ihale ilan edebilmesi için kanunla öngörülen işlemleri başlatacak. Yatırımcı seçim sürecine destek vermek üzere uluslararası bir danışmanlık firma dahil edilecektir.

Hükümet bu projeye her zamanki gibi eşi görülmemiş bir destek veriyor, Parlamentonun Anaklia derin deniz limanını Gürcistan Anayasasına özel bir öncelik olarak dahil edilmesi bunun tespitidir – belirtti Başbakan.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომის მიმდინარეობისას ანაკლიის პორტზე ისაუბრა. პრემიერის აღნიშვნით, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ რომელთანაც საქართველოს მთავრობას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, ვალდებულებების არაერთხელ გადავადების მიუხედავად, ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნულის გამო მთავრობამ ახალი ინვესტორის მოძიება გადაწყვიტა. პრემიერის განმარტებით შერჩევის პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება.

ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი სააგენტო ტენდერის გამოსაცხადებლად დაიწყებს კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს და რაც ასევე მნიშვნელოვანია, დაიქირავებს საერთაშორისო კონსულტანტს, რომელიც დახმარებას გაგვიწევს ინვესტორის შერჩევის პროცესში - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მთავრობა ყოველთვის გამოხატავდა უპრეცედენტო მხარდაჭერას ამ პროექტის მიმართ, რისი დადასტურებაცაა ის, რომ მეცხრე მოწვევის პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, როგორც განსაკუთრებული პრიორიტეტი.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Gürcistan'da Enflasyon Şubat 2021

ინფლაცია საქართველოში 2021 წლის თებერვალი

Şubat 2021'de bir önceki aya göre Gürcistan'da enflasyon yüzde 1,1 yıllık enflasyon oranı ise yüzde 3,6 oldu. Çekirdek enflasyon açısından bu rakam Şubat 2021'de geçen yılın aynı dönemine göre yüzde 6,6 olurken, tütünsüz yıllık çekirdek enflasyon için rakam yüzde 6,3 olarak belirlendi.

2021 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.1%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 3.6% შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის თებერვალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.6% შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 6.3% ით განისაზღვრა.

Aylık Enflasyon



Yıllık enflasyon oluşumunun temel neden aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:
წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

Gıda ve Alkolsüz İçecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 6.2%
Sağlık / ჯანდაცვა: 9.8%
Mobilya, ev eşyaları, ev bakımı/ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა: 12.3%
Alkollü içecekler, tütün /ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: 8.1%
Konut, su, elektrik, gaz / საცხოვრებელი წყალი, ელ.ენერგია, აირი: 21.2%

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Korona Virüs

კორონა ვირუსი

Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının sayısının düşüş eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 2125'e ulaştı (ortalama: 303 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 272 262'e ulaştı. Can Kaybı – 3 563, iyileşenlerin sayısı – 266 253, aktif vaka ise – 2446. Halihazırda hastanelerde 1379, otellerde ise 154 kişi tedavi görüyor, 300 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 2 810 993 test yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 116 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 116 254 657 Can Kaybı – 2 582 283, iyileşen kişi sayısı – 91 916 762. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve İngiltere'de görülmüştür.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობის კლების ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 2125-ს უტოლდება (303 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 272 262 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 3 563, გამოჯანმრთელდა 266 253, ხოლო 2446 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 1379 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 154 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 300 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 2 810 993 ტესტი გაკეთდა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 116 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 116 254 657 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 2 582 283, ხოლო გამოჯანმრთელდა 91 916 762 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს ჰყავს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.3190 TRY/GEL – 0.4440 EUR/GEL – 3.9977 GBP/GEL – 4.6250

USD/GEL

26 - 05 Mart 2021

USD/TRY

26 - 05 Mart 2021

TRY/GEL

26 - 05 Mart 2021

ALTIN – 54, 612.30 kg/usd

26 - 05 Mart 2021

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası